**შპს საფეხბურთო კლუბი სიონი**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

**სარჩევი**

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა ........ 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ........ 6
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი) ........ 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ........ 8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები ........ 9
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები (არააუდირებული) ........ 15

MOORE

**Moore Abc, LLC**
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

**დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა**

**შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი"-ს მენეჯმენტს**
სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა #115
ქ. ბოლნისი, საქართველო

**ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება**

1. ჩვენ ჩავატარეთ **შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი"-ს** (შემდგომში "კლუბი") თანდართული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების, ფულადი სახსრების მოძრაობის და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

2. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად პასუხისმგებელია კლუბის მენეჯმენტი. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (ISRE 2400) (განახლებული)-ის შესაბამისად, *„გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ"*. ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს მოსაზრების გამოთქმას იმის შესახებ, მიმოხილვის პროცესში მიიქცია თუ არა ყურადღება ისეთმა ფაქტმა, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. გარდა ამისა, ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვას.

   ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ISRE 2400 (განახლებული)-ის შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული რწმუნების გარიგებას. აუდიტორი ატარებს პროცედურებს, რომელიც ძირითადად შედგება ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და დანარჩენი პერსონალის გამოკითხვების, ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისაგან.

   მიმოხილვისას ჩატარებული პროცედურები არსებითად ნაკლებია, ვიდრე პროცედურები გათვალისწინებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ აუდიტორულ დასკვნას წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

**დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა (გაგრძელება)**

**მოსაზრება**

4. ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ისეთ ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის, შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

**ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელების და გამოყენების შეზღუდვა**

5. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებული სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა.

**მიხეილ აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი**

*ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544*
*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011*

5 ოქტომბერი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

## კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
## საბალანსო უწყისი
## (ეროვნული ლიცენზირება)

ლიცენზიის მაძიებელი:

**შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი"**

| საბალანსო უწყისი | 31.08.2020 | 31.08.2019 |
|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 156,034 | 149,285 |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | | |
| სხვა დებიტორული დავალიანება | | |
| საგადასახადო აქტივები | 3,387 | |
| მატერიალური მარაგები | | |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 20,000 | |
| **მთლიანი მიმდინარე აქტივები** | **179,421** | **149,285** |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| ძირითადი საშუალებები | 8,549 | 7,543 |
| არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები | | |
| არამატერიალური აქტივები - სხვა | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | | |
| საგადასახადო აქტივები | | |
| ინვესტიციები | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი აქტივები** | **8,549** | **7,543** |
| **მთლიანი აქტივები** | **187,970** | **156,828** |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | |
| ბანკის ოვერდრაფტები | | |
| ბანკის და სხვა სესხები | 234,000 | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება | | |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ | (1,721) | 86,561 |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | 18,829 |
| დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი | | |
| მოკლევადიანი ანარიცხები | | |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 14,713 | 79,577 |
| **მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები** | **246,992** | **184,967** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| ბანკის და სხვა სესხები | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები | | |
| თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები | | |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | | |
| გრძელვადიანი ანარიცხები | | |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები** | **-** | **-** |
| **სულ ვალდებულებები** | **246,992** | **184,967** |
| მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები) | (59,022) | (28,139) |

**საკუთარი კაპიტალი**

**კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა**
**საბალანსო უწყისი**
**(ეროვნული ლიცენზირება)**

ლიცენზიის მაძიებელი:

**შპს ,,საფეხბურთო კლუბი სიონი"**

| საბალანსო უწყისი | 31.08.2020 | 31.08.2019 |
|---|---|---|
| სააქციო/საწესდებო კაპიტალი | 444,490 | 444,490 |
| გაუნაწილებელი მოგება | (503,512) | (472,629) |
| სხვა რეზერვები | | |
| **მთლიანი საკუთარი კაპიტალი** | **(59,022)** | **(28,139)** |
| | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები | 187,970 | 156,828 |
| | | |
| **კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)** | TRUE | TRUE |
| | | |
| **მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება** | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი | 34,729 | 38,620 |
| პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ | (93,751) | (66,759) |
| კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში | | |
| ცვლილება გადაფასების რეზერვში | | |
| სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი | (59,022) | (28,139) |
| **შემოწმება** | TRUE | TRUE |
| | | |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები** | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში | | |
| პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი | | |
| დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს | - | - |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია** | | |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში | | |
| პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | | |
| გაუფასურების ანარიცხები პერიოდში | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს | - | - |
| **ნეტო საბალანსო ღირებულება** | | |
| პერიოდის დასაწყისში | - | - |
| პერიოდის ბოლოს | - | - |
| **შემოწმება** | TRUE | TRUE |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და [თარიღი]-სანქციონირებულია გამოსაცემად თვის:

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: ლ. სანიკიძე

თარიღი: 05.10.2020

## საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

## კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
## მოგება-ზარალის უწყისი
## (ეროვნული ლიცენზირება)

ლიცენზიის მაძიებელი:

**შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი"**

| მოგება-ზარალის უწყისი | 31.08.2020 | 31.08.2019 |
|---|---|---|
| ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ ამონაგები ბილეთებიდან** | - | - |
| | | |
| სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი | 180,519 | 169,492 |
| სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე | | |
| სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | 10,170 | 15,678 |
| **სულ სპონსორობა და რეკლამა** | **190,689** | **185,170** |
| | | |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ ტრანსლაციის უფლებები** | - | - |
| | | |
| კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| კომერციული - საქონლის გაყიდვა | | |
| კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში | | |
| კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ კომერციული** | - | - |
| | | |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები | | |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი | 28,923 | |
| უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა** | **28,923** | - |
| | | |
| სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან | 4,200 | 7,725 |
| სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან | 461,934 | 948,481 |
| შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან | | |
| შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან | | |
| შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან | | |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი | | |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | |
| **სულ სხვა შემოსავალი** | **466,134** | **956,206** |
| | | |
| **სულ შემოსავალი** | **685,746** | **1,141,376** |
| | | |
| რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე** | - | - |
| | | |
| ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება | (317,513) | (537,711) |
| ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები | | |
| ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | | |
| **სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები** | **(317,513)** | **(537,711)** |
| სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება | (293,695) | (302,971) |
| სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები | | |
| სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | | |
| **სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | **(293,695)** | **(302,971)** |
| თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | |

## კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
## მოგება-ზარალის უწყისი
## (ეროვნული ლიცენზირება)

ლიცენზიის მაძიებელი:
შპს ,,საფეხბურთო კლუბი სიონი"

| მოგება-ზარალის უწყისი | 31.08.2020 | 31.08.2019 |
|---|---|---|
| **სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | (611,208) | (840,682) |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | (950) | (745) |
| სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა) | | |
| ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება | | |
| **სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)** | **(950)** | **(745)** |
| მატჩის დღის ხარჯები | (127,616) | (261,435) |
| სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები | | |
| კომერციული აქტივობების ხარჯები | | |
| უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები | (32,490) | (28,200) |
| არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები | | |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები | | |
| სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | (3,000) | (95,422) |
| **სულ სხვა საოპერაციო ხარჯი** | **(163,106)** | **(385,057)** |
| **სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)** | **(775,264)** | **########** |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| **წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით** | - | - |
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან | | |
| მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან | | 18,318 |
| **სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან** | - | **18,318** |
| ფინანსური შემოსავალი | | 400 |
| ფინანსური ხარჯი | (33) | (369) |
| **წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)** | **(33)** | **31** |
| სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო) | 61,007 | |
| სხვა ხარჯი (არასაოპერაციო) | (65,207) | |
| **წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)** | **(4,200)** | - |
| საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი) | | |
| **მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ** | (93,751) | (66,759) |
| დივიდენდები | | |
| **მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ** | (93,751) | (66,759) |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
დირექტორი: ლ. სანიკიძე

თარიღი: 05.10.2020

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი"

| მოგება-ზარალის უწყისი | 31.08.2020 | 31.08.2019 |
| --- | --- | --- |

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

# კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
## ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
## (ეროვნული ლიცენზირება)

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს ,,საფეხბურთო კლუბი სიონი"

| ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი | 31.08.2020 | 31.08.2019 |
|---|---|---|
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან | (796,833) | (1,093,980) |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | | |
| მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | | |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | | |
| ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან** | - | - |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები | 234,000 | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები | | |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან | | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან** | **234,000** | - |
| | | |
| სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) | 695,870 | 1,188,996 |
| | | |
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში | 133,037 | 95,016 |
| | | |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია** | | |
| | | |
| საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი | 22,997 | 54,269 |
| წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში | 133,037 | 95,016 |
| საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი | 156,034 | 149,285 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან) | 156,034 | 149,285 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: ლ. სანიკიძე

თარიღი: 05.10.2020

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

**შენიშვნა 1: კლუბის შესახებ**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საფეხბურთო კლუბი სიონი" („კლუბი") დაფუძნდა 2000 წლის 25 აგვისტოს „სააქციო საზოგადოება მადნეული" და „სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ბოლნისის განყოფილების" მიერ. საფეხბურთო კლუბის 100%-იანი საკონტროლო პაკეტის მფლობელია ბოლნისის მუნიციპალიტეტი.

კლუბის იურიდიული მისამართია: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის #99. ფაქტიური მისამართი ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ.#115.

კლუბის ძირითადი მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების შემუშავება, ორგანიზება, ჯანსაღი თაობის აღზრდა.

,,საფეხბურთო კლუბი სიონი" ცნობილია როგორც 1986 წლის საქართველოს თასის მფლობელი და შემდგომ 2005-2006 წლის საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის გამარჯვებული. ასევე არის საქართველოს 2003-2004 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ოქროს მატჩის მონაწილე და დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების ნახევარფინალისტი. კლუბს მონაწილეობა აქვს მიღებული უეფას ჩემპიონთა და ევროპის ლიგების საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში.

კლუბს, პროფესიონალური გუნდის გარდა, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, ჰყავს სამი ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სფფ-ს ეგიდით გამართულ შესაბამის ასაკობრივ ტურნირებში.

კლუბს არ გააჩნია საკუთარი სტადიონი. ის წლების განმავლობაში საშინაო მატჩებს მართავდა ქალაქ ბოლნისში მდებარე თეიმურაზ სტეფანიას სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც წარმოადგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ამჟამად იგეგმება აღნიშნული სტადიონის რეკონსტრუქცია.

**შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა**

- **მომზადების საფუძველი**

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად. წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასების და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- **ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

**შენიშვნა 2:** **საალრიცხვო პოლიტიკა** ***(გაგრძელება)***

- **უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2020 წლის 31 აგვისტოსთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

| | აგვისტო 31, 2020 | აგვისტო 31, 2019 |
|---|---|---|
| ლარი / 1 აშშ დოლარი | 2.0696 | 2.9457 |
| ლარი / 1 ევრო | 3.6243 | 3.2523 |

- **ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

- **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიული ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მოსამსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

| აქტივების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---|---|
| ოფისის აღჭურვილობა | 5-10 წელი |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი |

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

- **შემოსავალი და დარიცხვები**

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, შემოსავალი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოწირულობები, შემოსავალი სპონსორობიდან და სხვა შემოსავლები;

**დაფინანსება / სუბსიდია -** მიღებული დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

**შემოწირულობა -** შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად აღიარდება მისი მიღებისთანავე;

**სხვა შემოსავალი -** სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად;

**შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო**

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ბაზრის საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყველა ის მიმართულება და პროექტი, რის განვითარებასაც გეგმავს სფფ. აღნიშნული პროგრამა დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ახალი ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვთარების ფონდი", რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს შესაბამისი მიზნობრიობის გათვალისწინებით. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან დაფინანსების გამოყოფა მოხდება სწორედ ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება,მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. 2016-2020 წლების ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

2016 წლის ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად თანხების გადანაწილება გუნდებზე 2017-2020 წლების ჩემპიონატზე მოხდება დადგენილი კალათების მიხედვით (მათ შორის პრემიალური, საპრიზო და ა.შ) კერძოდ:

პროფესიული ლიგა 1 -სთვის კალათა შეადგენს 1,000,000 ლარიდან 3,344,444 ლარამდე;

პროფესიული ლიგა 2 -სთვის კალათა შეადგენს 700,000 ლარიდან 1,772,222 ლარამდე;

2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #268-ის მიხედვით საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ მოხდა პროგრამის გადაგრძელება 2021 წლამდე. ამავე დადგენილებით 2016-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვრა 211,126,949 ლარის ოდენობით.

**შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები მოიცავს 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

**შენიშვნა 5. საგადასახადო აქტივები**

2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიას გააჩნია 3,387 ლარი საგადასახდო აქტივები. 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით - კი არ აქვს.

**საპენსიო სქემა** - 2018 წლის 21 ივნისს საქართველომ მიიღო კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. დაგროვებითი საპენსიო სქემა 6%-იან შენატანს ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული თავისი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადარიცხავს დამატებით 2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაირიცხება კიდევ 2%, როგორც დამსაქმებელი, ორგანიზაცია გადარიცხავს 2%-ს თავის მხრივ და ეს გადასახადები მოცემულია 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**შენიშვნა 6. სხვა მიმდინარე აქტივები**

2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს სპონსორის - სს "RMG Copper"-ის მიმართ მოთხოვნებს - 20,000 ლარი. ხოლო 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სხვა მიმდინარე აქტივები არ მოიცავს მოთხოვნებს.

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

| 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით | ოფისის აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | ტრანსპორტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2019 | **11,041** | **2,564** | **-** | **13,605** |
| შემოსვლები | 2,367 | - | | **2,367** |
| გასვლები | - | - | - | **-** |
| **ნაშთი 31 აგვისტო 2020** | **13,408** | **2,564** | **-** | **15,972** |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | | | |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2019 | 4,878 | 1,594 | - | **6,472** |
| პერიოდის ცვეთა | 821 | 129 | - | **950** |
| გასვლები | - | - | - | **-** |
| **ნაშთი 31 აგვისტო 2020** | **5,700** | **1,723** | **-** | **7,423** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2019 | **6,163** | **1,211** | **-** | **6,034** |
| **ნაშთი 31 აგვისტო 2020** | **7,708** | **841** | **-** | **8,549** |

| 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით | ოფისის აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | ტრანსპორტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2018 | 8,528 | 2,564 | - | **11,092** |
| შემოსვლები | 2,253 | - | | **2,253** |
| გასვლები | - | - | - | **-** |
| **ნაშთი 31 აგვისტო 2019** | **10,781** | **2,564** | **-** | **13,345** |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | | | |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2018 | 3,705 | 1,353 | - | **5,058** |
| პერიოდის ცვეთა | 718 | 26 | - | **744** |
| გასვლები | - | - | - | **-** |
| **ნაშთი 31 აგვისტო 2019** | **4,423** | **1,379** | **-** | **5,802** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2018 | **4,823** | **1,211** | **-** | **6,034** |
| **ნაშთი 31 აგვისტო 2019** | **6,358** | **1,185** | **-** | **7,543** |

**შენიშვნა 8. სხვა მიმდინარე ვალდებულებები**

2020 წლის 31 აგვისტოსათვის სხვა მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად შედგება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებისგან 13,910 ლარის ოდენობით. (2019 წლის 31 აგვისტოსათვის კი - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისადმი ვალდებულებისაგან: 57,350 ლარი).

**შენიშვნა 9. სააქციო/საწესდებო კაპიტალი**

2020 წლის 31 აგვისტოსთვის სააქციო/საწესდებო კაპიტალი მოიცავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ საწესდებო კაპიტალის განაღდებულ საწესდებო კაპიტალს ჯამში 444,490 ლარის ოდენობით. (2019 წლის 31 აგვისტოსათვის - 444,490 ლარი).

**შენიშვნა 10. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან;**

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩარიცხულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში.

**შენიშვნა 11. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება**

ფეხბურთელები - ხელფასი და ჯამაგირი შედგება ფეხბურთელების ანაზღაურებისა და პრემიისგან.

**შენიშვნა 12. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება**

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ჯამაგირი მოიცავს ფეხბურთელების გარდა კლუბის სხვა თანამშრომლების ანაზღაურებასა და პრემიას.

**შენიშვნა 13. მატჩის დღის ხარჯები**

მატჩის დღის ხარჯები ძირითადად მოიცავს: კლუბის მივლინების ხარჯებს, ტრასნპორტირების და შენახვის ხარჯებს, სამედიცინო მომსახურეობის ხარჯებს, სპორტული ინვენტარის ხარჯებს.

**შენიშვნა 14. უძრავი ქონების და სათავსოების ხარჯები**

უძრავი ქონების და სათავსოების ხარჯები ძირითადად მოიცავს მოედნის იჯარის თანხას.

**შენიშვნა 15. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი**

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს საწევრო გადასახადს.

**შენიშვნა 16: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**

- **სასამართლო დავები**

2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

**შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბები საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად 2020 წლის ბოლომდე კლუბები დაფინანსდებიან შემდეგი სახით:

ეროვნულ ლიგაში ასპარეზობის შემთხვევაში:

1. საბაზისო დაფინანსება - 700,000 ლარი
2. კლუბის ფინანსური სტიმულირება - 700,000 ლარი
3. საპრიზო და პრემიალური ფონდი - ეროვნულ ლიგაში თითოეულ მოგებულ თამაშზე 20,000 ლარი, ხოლო ფრეზე 6,500 ლარი.

ხოლო, ეროვნულ ლიგა 2-ში ასპარეზობის შემთხვევაში:

1. საბაზისო დაფინანსება - 500,000 ლარი
2. კლუბის ფინანსური სტიმულირება - 500,000 ლარი
3. საპრიზო და პრემიალური ფონდი - ეროვნულ ლიგაში თითოეულ მოგებულ თამაშზე 10,000 ლარი, ხოლო ფრეზე 3,300 ლარი.

ეროვნულ ლიგა 3-ში ასპარეზობის შემთხვევაში:

1. საბაზისო დაფინანსება - 250,000 ლარი
2. კლუბის ფინანსური სტიმულირება - 100,000 ლარი

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსი („COVID 19") გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანზიაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი რომელთაც შეზღუდეს კლუბის ყოველდღიური საქმიანობა.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიოში და ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ (სფფ) მიიღო გადაწყვეტილება, სფფ-ის ეგიდით გამართული ყველა ჩემპიონატის, მათ შორის, კრისტალბეთ ეროვნული ლიგის, კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ის, ასევე ასაკობრივი ჩემპიონატების 1 აპრილამდე შეჩერების თაობაზე. თავდაპირველად აღნიშნული აღნიშნული ჩემპიონატის შეჩერების გადაწყვეტილება სფფ-მ 11 მარტს სამ კვირიანი ვადით მიიღო, თუმცა მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო აღნიშნული ვადა შესაბამისად გაგრძელდა.

კრისტალბეთ ეროვნული ლიგა მესამე ტურით 25 ივნისიდან განახლდა. ხოლო 13 ივლისიდან, ასევე მესამე ტურით განახლდა კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2. ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, მატჩები მაყურებლის გარეშე მიმდინარეობდა.

დღევანდელი მდგომარეობით, ყველა შესაბამისი რეგულაციების დაცვით სფფ-ის ეგიდით მიმდინარე ყველა ტურნირი აღდგენილია და შეუფერხებლად მიმდინარეობს.

გამომდინარე იქიდან რომ ვითარება სწრაფად იცვლება, კლუბის მენეჯმენტი ვერ აკეთებს ზუსტ პროგნოზს თუ რა ეფექტი ექნება ამ მოვლენას კლუბის სამომავლო საქმიანობაზე. კლუბის შეფასებით COVID-19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კლუბის უნარზე საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

**კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა**
**აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი**
**(ეროვნული ლიცენზირება)**

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი"

| ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი | 31.08.2020 | 31.08.2019 | კომენტარი |
|---|---|---|---|
| **ხარჯები** | | | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში | 48,500 | 49,900 | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე) | 11,288 | 813 | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე) | | | |
| საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.) | | | |
| სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია) | 1,890 | 1,650 | |
| აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი | | | |
| აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით) | 2,693 | 8,774 | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი | **15,566** | **680** | |
| აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა) | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი | | 20,000 | |
| ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.) | | | |
| **სულ აფგ პროგრამის ხარჯები** | **79,937** | **81,817** | |
| **შემოსავლები** | | | |
| უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.) | | | |
| უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | 28,923 | | |
| სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | |
| სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | |
| ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! | | | |
| **უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი** | **28,923** | - | |
| **წმინდა შედეგი** | **(51,014)** | **(81,817)** | |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: ლევან სანიკიძე

თარიღი: 05.10.2020

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: შპს „მოორ ეიბისი"

უფლებამოსილი წარმომადგენელი: მიხეილ აბაიაძე

თარიღი: 05.10.2020

- დოკუმენტის დასასრული -